

„ვამტკიცებ“

„შეთანხმებულია“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან

ა.(ა).ი.პ. სპორტული გაერთიანების

პრეზიდენტი: ათაბეგაშვილი/

დირექტორი: ათაბეგაშვილი/



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტრაგიკულად გარდაცვლილი პერსპექტიული ძიუდოსტების, ნიკა გილაშვილის და ვანო ოტიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, 2011 – 2012 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის

შეჯიბრების ჩატარების მიზანი და ამოცანები

1. ძიუდოს პოპულარიზაცია და პერსპექტიული ძიუდოსტების გამოვლინება.
2. ნიკა გილაშვილის და ვანო ოტიაშვილის სახელების უკვდავყოფა.

ტურნირის მონაწილეები

1. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 2011-2012 წლებში დაბადებული ვაჟები, შემდეგ წონით კატეგორიებში:

26 კგ - 29კგ - 32კგ - 36კგ - 40კგ - 45კგ - 50კგ - 55კგ - 60 კგ - 66კგ + 66 კგ.

ყველა წონით კატეგორიაში დაშვება 0,5 კგ.

შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

1. შეჯიბრება ჩატარდება 2023 წლის 18-19 ნოემბერს ქ. საგარეჯოს ა.(ა).ი.პ. სპორტული გაერთიანების ძიუდოს დარბაზში. ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი წესების დაცვით (მისამართი : ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ. N 37).

ჩამოსვლის დღე 17 ნოემბერი 2023წელი.

მონაწილეთა აწონვა 18 ნომბერი: 26 კგ - 29კგ- 32კგ - 36კგ - 40კგ
19 ნომბერი: 45კგ - 50კგ - 55კგ - 60 კგ - 66კგ + 66 კგ.
ორივე დღეს აწონვა ჩატარდება დილის 8:00- დან 10:00-მდე
წასვლის დღე 20 ნომბერი 2023წელი.

მიღების პირობები

მიმავლინებელი ორგანიზაცია გაიღებს მგზავრობის, კვების და სასტუმროს საფასურს. სასტარტო შესატანი მონაწილეზე 20 (ოცი) ლარი. თანხა ჩაირიცხოს - ა.ა)ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში 746107519. გადახდის ქვითარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე. სოციალურად დაუცველი სპორტსმენები - საბუთის წარდგენის შემთხვევაში გათავისუფლდებიან სასტარტო შესატანისაგან
შეჯიბრებაზე მონაწილე სპორტსმენები სურათიანი საბუთის და დაბადების მოწმობის ასლის გარეშე არ დაიშვებიან.

შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული გაერთიანება და მის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია. (შეჯიბრებას მოემსახურება საქართველოს ძიუდოს ფედერაციიდან მოწვეული მსაჯები და ვიდეო გადაღება)

შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს გაიღებს საგარეჯოს ა(ა)იპ სპორტული გაერთიანება.

და ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცემათ შესაბამისი დიპლომები, თასები და მედლები, ხოლო მსაჯებზე გაიცემა მსაჯობისათვის ანაზღაურება.

შენიშვნა: აღნიშნული დებულება ითვლება შეჯიბრებაზე ოფიციალურ გამოძახებად. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი გუნდებისათვის საკონტაქტო ტელეფონები: 599 37 97 09; 599 85 11 26 ელექტრონული მისამართი: sagarejosporti@yahoo.com